სამშაბათი, 1 მაისი 1907 წ.

ისარი

ყველა დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 93

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს redakciasa da kantorashi ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და სადამოს 5-დან 7-მდე. redakciis da kantoris adresi: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს-და ეპიგრამებს-redakcia არ ინახავს. ინახება ერთის-თვით-მხოლოდ დიდი წერილები და მეტსრულებენ. წერილებით პასუხისთვის საჭიროა ფოსტის მარკები. ბირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის adresi: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

„ისარ“-ის ხელის მომწერთა საყურადღებოდ

„ისარი“-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ მაისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც სამ თანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარეთ—ვისაც 3 მან. 50 კაპ. მეტი

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მ. 60 კ. ტფილისს გარეთ—5 მ. 30 კ., საზღვარ-გარეთ—8 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75, ტფილისს გარეთ—80 კაპ, საზღვარ-გარეთ—1 მ. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ბართლომე, კლემენტო და ევსევი კონსტანტინეს ძენი თოფურიძენი დებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებისა ძვირფასის დედის

ეკატერინე შამა | ლოლუას ასულის | თოფურიძისას,

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება 1 მაისს, დილის 10 საათზე, ს. აბაშაში. (1—ფორტ.—1)

დავით გიორგის ძე თულაშვილი, დავით ეგნატეს ძე ძნელაძე მანასია დიმიტრის ასული ძნელაძისა შვილებითურთ სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ 1 მაისს, შუადღის 12 საათზე, დაბა მიხაილოვში, ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქნება წლის პანაშვიდი პირველის მეუღლის, მეორისა ქალის და უკანასკნელის დის

ბარბარე დავითის ასული თულაშვილის

სულის მოსახსენებლად. (2—65—2)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—92

ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, აახლი მდივნისა. (35)

ექიმი
ე. ვაშაკიძე
იღებს შინანიზ სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—40)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიული. დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
ვიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—100)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).
მიღება კარედან მოსიარულე ავადმყოფებისა
მიხეილ აგაჯანოვი: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სნფილისი.
ი. ნ. ეგიაზაროვი: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
გ. ბ. ტატევოსოვი: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
ი. გ. პეტროსოვი: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
ფ. ბ. ბიმონტი: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
ბ. ბ. ბეიერი: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,
ი. ნ. თუმანოვი: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:
სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—57)

დიდის წარმოდგენა
ავლაბრის თეატრში
კვირას 6 მაისს, 1907 წ. ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ არტისტ ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება თანამედროვე პიესა

ამ დროის გმირები

სურათები ტფილისის ცხოვრებიდან. 5 მოქმ. ალ. ბაქრაძისა.

ბილეთების ფასი 2 მანეთიდან 10 კაპეიკამდის. ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში. ვისაც ორი აპრილის „რენესანის“ თეატრის ბილეთები აქვს, შეუძლიან ისარგებლოს ექვს მაისის წარმოდგენით. წარმოდგენა დაიწყება დილის 12 საათზე. (3—უ.—1) გამგე ალ. ბაქრაძე.

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ვ. ფანცხავა
იღებს საბებიო, ქალის და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—12 საათ. საღამოობით 5—7 საათამდე. ქარავან-სარაის ქ., სახლი ადამიასი (25—კვ—1)

ქ. ქუთაისში
ბავშვების ექიმი ბადრიძე
ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ციციშვილისა. (25—ფ.—12)

Дасустебулъ, авадмыопобисаган ганкурнебулъ да кargи двинис моцвариулта саюурадгебоди.

უკანასკნელ ხანებში ბევრი ჰყიდის ღვინოს „ყიფიანის ღვინის“ სახელით. მოვალედ ვრაცხთ ჩვენ თავს, ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ ქუთაისში არსებობს ერთად-ერთი საწყობი ნამდვილ „ყიფიანის ღვინისა“, რომელიც ეკუთვნის ლუარსაბ ლუარსაბის ძე ყიფიანს. ყიფიანის ღვინო, რომელიც ს. ხვანჭკარაში მოდის, განსაკუთრებით კარგი თვისებისაა და იმის მსგავსი ღვინო რაჭაში არსად მოდის. ხვანჭკარელი მემამულენი თავადნი დიმიტრი, დათა და მანუჩარ ყიფიანები შთელს თავიანთ მოსავალს ჩვენს საწყობს აძლევენ და სხვისგან ერთ ბოთლსაც არა ჰყიდიან და ამიტომ თუ ვინმე ჰყიდის ღვინოს „ყიფიანის“ სახელით, იგი ხვანჭკარული არ არის. ლ. ლ. ყიფიანის ღვინო იყიდება დაბეჭდილი და წითელ ეტიკეტის ქვეშ აღნიშნულია ფირმის სახელი და წარწერა: „სოფელი ხვანჭკარა“. საწყობი მოთავსებულია ქუთაისის ქალაქის სახლში, ტფილისის ქუჩაზე და ქალაქის აფთიაქის მახლობლად. მსურველთ ღვინო ეგზავნებათ დაუყოვნებლივ.

ჩვენი ღვინო ყურძნის წმინდა წვენია და ყოვლად უზადოა და თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ იგი ბუნებრივი არ არის, მზად ვართ გადავიხადოთ ჯარიმა 2000 მანეთი. პრეისკურანტს უფასოდ ვუგზავნით. (10—ყ.ფ.—10)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
ბ-ნთ ვაჭართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ზოგიერთ მათგანს აქვს ცენზის ქონება, მაგრამ რაკი მათზე ირიცხება ნედიმკები დასაფასებელ გადასახადის, ისინი გამორიცხული არიან უძრავ ქონების მესაკუთრეთა სიიდან, ხოლო რადგან ასეთი პირები იმავე დროს შეცდომით შეტანილნი იყვნენ სავაჭრო ცენზის მიხედვით ამომრჩეველთა წინასწარ სიებში, ახლა ასეთი შეცდომით შეტანილეი უნდა გამოირიცხონ ვაჭართა სიებიდან. ამიტომაც ქალაქის გამგეობა სთხოვს უკანასკნელებს, შემოიტანონ აღნიშნული წედიმკები მეორე საარჩევნო ნაწილში ამ მდგომარე წლის 2 მაისამდე, ხოლო მესამეში 9 მაისამდე, თუ სურთ, რომ მონაწილეობა მიიღონ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში. (3—ნ.—3)

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი
იღებს ფურის, ცხვირის და ყელის ავადმყოფებს დილის 12—1 ს. საღამოთი 5—7 ს. ელისაბედის ქუჩა, № 7. სახლი მეწულოვისა. (25—18)

1907 წ. ავლაბრის თეატრი არაქსიანისა.
ოთხშაბათს, 2 მაისს, ახალგაზდა ქართველ მომღერალთა გუნდი, 25 კაცისგან შემდგარი, გამართავს საინტერესო

კონცერტს

მომღერალ სანდრო კავსაძის ლოტბარობით. ხორო შეასრულებს როგორც ქართლ-კახურ-იმერულს, ისე ევროპიულს სიმღერებს.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ბილეთები იყიდება წ. კ. საზოგადოების სამკითხველოში (სასახლის ქუჩაზე) და თეატრში.

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
საყოველთაოდ აცხადებს, რომ მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში ამა წლის 27 აპრილიდან, დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა, პირველ საარჩევნო ნაწილის, რომელიც შესდგება 1, 2, 3 და 4 საპოლიციო ნაწილისაგან, საბოლოო სია იმ ამომრჩეველთა, რომელნიც მიიღებენ მონაწილეობას მომავალ 1907—1911 წლების ქალაქ ტფ. საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში, და აგრეთვე ინსტრუქცია თვით არჩევნების მოხდენის შესახებ და ბლანკები იმ პირთა ჩასაწერად, რომელნიც დასახელებულნი იქნებიან კანდიდატებად ხმოსნობაზე. (3—ნ.—3)

ქუთაისის ქალაქის
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ ამა 1907 წლის მაისის 9-სთვის, დღის 12 საათზე, გამგეობის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა საღორიის აგარაკში ქალაქის საავადმყოფოს ასაშენებლად. ხარჯაღრიცხვისა და სხვა პირობების გაცნობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის. (3—ნ.—2)

წ.-კითხვის საზოგ. და სხვა მაღაზიებში იყიდება ახალი გამოცემა მ. ჯანაშვილისა

ნაშრომი

1. საისტორიო საბუთების შესწავლის მდგომარეობა ჩვენში და ახლად აღმოჩენილი ახალი „ქართლის ცხოვრება“, 2. ახალი ქართლის ცხოვრება (გიორგი ბრწყინვალიდან გიორგი XI-მდე), 3. თვითონვე გვიწვევენ (შენიშვნები წერილის გამო „ქართული გრამატიკა მ. ჯანაშვილისა“.)

ფასი ერთი აბაზი

გამოცემის მთელი შემოსავალი, სამაღაზიო %-ს გარდა, გადაეცემა „ქართ. საქველმ. საზ. გამგეობას“ გაჭირვებულ მეგრელ-გურულთა სასარგებლოდ.—იქვე და აგრეთვე ქუთაისში მაღაზია „კოლხიდაში“ იყიდება მ. ჯანაშვილის „საქართ. ისტორია“, „ქართ. გრამატიკა“ და სხვ. გამოცემანი.

შეცდომის გასწორება. წაიკითხეთ: „ნაშრომის“ გვ. 5—დაეარსეს, 74—გაცოხნილ, 75—დაეჩნიათ, 80—travailleur, 83—წარსულის... მკრთალად. (10—უ.—3)

ტფილისი, 1 მაისი

პირველ მაისს (ახალის სტილით) პოლონეთის მუშა ხალხმა, სადაც-კი მოუხერხდა, იდღესასწაულა მთელის ქვეყნის პროლეტარიატის სადღესასწაულო დღე; რამდენისამე დღის შემდეგ იმავ ხალხმა, მთელ ერთან ერთად, მონაწილეობა მიიღო პოლონეთ-ს საეროვნო დღესასწაულში: ძველის კონსტიტუციის მოგონებაში. ამ დღეს, სხვათა შორის, მოხდენილ იქმნა ფულის შგროვება პოლონეთის განმანათლებელ საზოგადოების („მატიცა“-ს) სასარგებლოდ. ყველა—მუშა და კაპიტალისტი, ხელოსანი და ვაჭარი, გლეხი და მემამულე, მდიდარი და ღარიბი—სწირავდა საერთო საეროვნო დაწესებულებას თავის წვლილს... რასაკვირველია, ეს მარტო წლევანდელი ამბავი არაა, ასეა ყოველთვის, ხოლო უკანასკნელს წლებში—განმათავისუფლებელ მოძრაობის ხანაში—პოლონეთის საეროვნო კულტურულმა მუშაობამ იმატა კიდეც, უფრო შეისხა ფრთები.

და არცერთს პოლონელ სოციალისტს ფიქრშიაც არ გაუვლის, რომ ასეთი შეერთება მუშა ხალხისა ერის შემადგენელ სხვა ნაწილებთან „პროლეტარიატის კლასსობრივ თვითშეგნებას დააბნელებს“, რომ საეროვნო საქმეში და დღესასწაულში მონაწილეობის მიღება „ვიწრო პატრიოტიზმი და შოვინიზმია“...

რუსეთის არცერთს კუთხეში არაა ისე გამწვავებული კლასთა ბრძოლა, როგორც პოლონეთში, რადგან არსად არაა ისეთი განვითარებული კაპიტალისტური მრეწველობა, როგორც იქ, და არსად ისე მძლავრად არ დასწაფებია ხალხი განმათავისუფლებელს მოძრაობას, როგორც იქ; მაგრამ არც ერთს და არც მეორე გარემოებას არ შეუჩერებია მთელის ერის კულტურული მუშაობა, არ მოუსპია პოლონელ ერისათვის ეროვნული ინდივიდუალობა. პოლონელი მუშაც და კაპიტალისტიც, გლეხიც და მემამულეც, რომელთ შეურიგებელი კლასსობრივი ინტერესები ერთმანეთთან გაშმაგებულად აბრძოლებენ, ერთის კულტურულის ერთეულის ნაწილებად სთვლიან თავიანთ თავს და ენერგიულად მუშაობენ თავის სამშობლოს მომავლისათვის.

ხალხის მეთაურნი თუთიყუშებივით არ იმეორებენ იქ კომუნისტურ მანიფესტის ფრაზას „პროლეტარს სამშობლო არა აქვსო“, არამედ გამსჭვალულნი არიან იმ აზრით, რომ პოლონელ მუშა ხალხის ბრძოლა სოციალიზმისათვის მაშინ იქნება ნაყოფიერი და ენერგიული, როცა პოლონელი ერი სამშობლოს დაიბრუნებს და გამათახსირებელ მონობისაგან იხსნის თავს. პოლონელი სოციალისტი დარწმუნებულია, რომ სხვა და სხვა ერთა მშრომელ ხალხების შორის ნამდვილი სოლიდარობა მაშინ განხორციელდება, როცა თითოეული ერი სრულებით თავისუფალი იქნება დაჩაგვრისაგან, როცა ყოველი ერი სრულ თანასწორ-უფლებებით იქნება შეკავშირებული სხვა ერებთან; იგი დარწმუნებულია, რომ სანამ ბურჟუაზიული წესწყობილება არსებობს, ეროვნული დაჩაგვრაც იარსებებს სხვა და სხვა ფორმით, ამიტომ მოწადინებულია ისეთ პოლიტიკურ პირობებში მოათავსოს თავისი ერი, რომელნიც უზრუნველ-ყოფენ მას ზედმეტ დაჩაგვრისაგან და eo ipso ხელს შეუწყობენ წმინდა კლასობრივ ბრძოლას; იმათ იციან, რომ ახლო მომავალში რუსეთში შესანიშნავად განვითარდება სწორეულ ეროვნული მრეწველობა, გამაგრდება ბურჟუაზიული წესწყობილება და რომ სოციალიზმის განხორციელებამდე ჯერ კიდევ გაივლის დრო; იციან ამასთანავე, რომ ასეთს განვითარებას თან სდევს ეროვნულ ბატონობის მადის გაძლიერებაც და ამიტომ აქედანვე, ეხლავე ცდილობენ მოიპოვონ საუკეთესო გარანტიები თავის ეროვნების დასაცველად.

ესეთი ცდა სრულიადაც არაა გამოწვეული რაიმე იდეალისტურის მისწრაფებით, სამშობლოსადმი რაიმე განყენებულის სიყვარულით, არამედ ნამდვილ რეალურ ინტერესით: ეროვნული დაჩაგვრა მაგნებელია ხალხის კლასობრივ თვითშეგნების გაძლიერებისათვის, რადგან ასეთი ზეგზეტი დაჩაგვრა ბოლოს და ბოლოს იწვევს ერა ბუნებრივს შეერთებას ანტაგონისტურ კლასებისას გაბატონებულ ერთან საბრძოლველად. ამიტომ პოლონელ სოციალისტურს მოძრაობასაც შეთვისებული აქვს ეროვნული მომენტი და მახლობელ პოლიტიკურის იდეალით მშრომელი ხალხი ერთად არის მთელ ერთან; მთელი ერი გამსჭვალულია იმ აზრით, რომ პოლონეთმა ეხლავე უნდა მოიპოვოს ან სრული დამოუკიდებლობა ან შინაური პოლიტიკური თვითმართველობა. ამ მხრით ხალხი არაა გაყოფილი ორ მტრულ ბანაკად და გზადაბნეულ გააფთრებულ ფარასავით არ სდგას საიდუმლო ისტორიულ მომავლის წინაშე.

პოლონეთის სოციალისტური და დემოკრატიული პარტიები არავისი ყურმოჭრილი ყმები არ არიან და პოლონეთის პროლეტარიატს არავისთვის „არ აზიდვინებენ ცეცხლიდან წაბლს“; რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა არ ავიწყებს მათ თავის ერის ინდივიდუალობას, თავის საკუთარ ჭირ-ვარამსა და თავის ეროვნულ კულტურულ იდეალს. ქვეყნის საბედნიეროდ ხალხის მეთაურებად იქ არ გამხდარან უმეცარნი ბალღები, რომელნიც მედიდურად გაიძახიან—ჩვენი წარსული გვეზიზღება და აწმყო ჭირივით გვძულსო.

ახალი ამგავი

✦ **გენ. ტაუბეს მოხსენება.** გენ. ტაუბეს, როგორც „ჩ. გ. გადმოგვცემს, სტოლიპინისთვის გაუგზავნია ვრცელი მოხსენება დეპეშით საზოგადოდ კავკასიის საქმეების შესახებ, რომელშიაც იგი ამტკუნებს კავკასიის ნამესტნიკს და ამტკიცებს, რომ კავკასიის ადგილობრივი ადმინისტრაცია სრულიად მოუმზადებელია და რომ ნამესტნიკს არავითარი ზომა არ მიუღია ბაქოს გაფიცვის წინააღმდეგ. ამ დეპეშას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სამინისტროში, რადგან ორიოდე კვირის წინად ამავე სამინისტროს ნამესტნიკისაგან ვრცელი მოხსენება მიუღია, რომლითაც ნამესტნიკი ატყობინებდა, რომ კავკასია დამშვიდდა და დაწყნარდაო. გენ. ტაუბე კი, პირიქით, ამტკიცებს, რომ კავკასია არ მშვიდდება და ადგილობრივ მთავრობას არაფერი გაუკეთებია იმის დასამშვიდებლადო. გარდა ამისა, ტაუბე, იწერება ამიერ-კავკასიაში დიდი შიმშილია და მოსავალსაც ძალიან ცუდი პირი უჩანს, რადგან მთავრობას ხალხისთვის თესლი არ მიუწოდებიაო. ამიერ-კავკასიაში, იმავე ტაუბეს სიტყვით, შიმშილი უფრო ძლიერია, ვიდრე შიდა რუსეთში, მაგრამ მთავრობა იქ ეხმარება დამშეულებს, კავკასიაში კი არაფერს აკეთებსო.

✦ **გლეხების შეტაკება.** როგორც ქ. ახალციხიდან გვატყობინებენ, იქ შემდეგი უბედურება დატრიალებულა: სოფელ მიქელწმინდის მცხოვრები ბერძენები ადგილების სივიწროვისა გამო ერთმანეთს გაჯიმტერებიან. აღდგომის მეორე დღეს გიორგი ქეშიშოვი კირილე სამსონიძესთან ერთად ზურნაზე ქეიფობდა. ქეშიშოვისათვის მეზობლებს დაუშლიათ, ნუ ყვირი, ჩვენ მგლოვიარე ვართო. ეს მიზეზი საკმაო ყოფილა წინანდელი უსიამოვნების მოსაგონებლად და მოპირდაპირენი ერთმანეთს დარევიან. კარგა ხანს უბრძოლიათ. დახოცილები აღმოჩენილან სამი ძმა თევდორე, კოსტა და გიორგი გერასიმოვები, მეოთხე ძმა ალექსი გერასიმოვი დაჭრილა რევოლვერით, იოანე კაშოვი ხანჯლით დაჭრილა, ხოლო სამი ძმა ივანე, მიხეილ და გიორგი ძალზე არიან ნაცემნი. დაჭრილა აგრეთვე კირილე სამსონიძე ტყვიით. დახოცილთაგან ორს ძმას წვრილი ცოლშვილი დარჩენია სრულიად უპატრონოდ.

✦ **ადელხანოვის მუშების დადგენილება.** ქარხნის პატრონის ადელხანოვისა და მუშებს შორის საქმე უფრო გამწვავდა. ქალაქის თავის თავ. ჩერქეზიშვილის შუამდგომლობამ ნაყოფი ვერ გამოიღო და ადელხანოვმა გადაჭრილი უარი შეუთვალა მუშებს: ქარხანას გავიღებ მაშინ, თუ ჩემს წინადადებას მიიღებთო. გუშინ მუშებმა დაადგინეს, აცნობონ ადელხანოვს შემდეგი: რადგან იგი არ მოდის მუშებთან მოსალაპარაკებლად, არ უნდა მორიგება და აცხადებს, შეძლება აღარა მაქვს ქარხნების შენახვისა, ოფიციალურად გა-

მოაცხადოს, რომ გაკოტრდა და ჰკეტავს ქარხნებს. მაშინ ჩვენ მივიღებთ ჩვენ იარაღსა და ქირას და დავიშლებითო. მუშები ამის პასუხს ელიან 2 მაისამდე. თუ ვინიცობაა ადელხანოვმა ქარხნები დაკეტა, უადგილოდ დარჩენილ მუშებს მიემატება 1000 ზე მეტი კაცი.

✦ **უბნის ზედამხედველის მოკვლა.** 28 აპრილს, საღამოს $8^1/_2$ საათზე, ოლგას ქუჩაზე მინავალებულა უბნის ზედამხედველი საგინაშვილი. ვიღაცას რამდენჯერმე ესროლია რევოლვერით და საგინაშვილი იქვე მოუკლავთ. მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს.

✦ **ქართული საზოგადოება ისტორიისა და ენტოგრაფიისა.** 28 აპრილს ტფ. დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში, ბ-ნ ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, მოხდა კრება ქართველ ინტელიგენტთა ერთის ჯგუფისა, რომელსაც აზრადა აქვს დაარსოს ქართული საზოგადოება ისტორიისა და ენტოგრაფიისა. წაიკითხეს პროექტი წესდებისა. უმთავრესი დანიშნულება საზოგადოებისა იქნება საისტორიო, საარქეოლოგიო და საეტნოგრაფიო მასალის შეკრება შესწავლა და გამოცემა. საზოგადოება შეეცდება ნაციონალურ მუზეუმის დაარსებას, სპეციალურ ჟურნალის გამოცემას, ისტორიულ და სხვას. წევრობა შეუძლიან ყველას, ვინც საწევრო ფულის 3 მან. ყოველ-წლიურად გადაიხდის. პროექტის განხილვას დამფუძნებელი კრება არსებითად არ შესდგომია. კამათი გამოიწვია ბ-ნ ი. გოგებაშვილის მიერ აღძრულმა საკითხმა. მან განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება საისტორიო და საეტნოგრაფიო საქმე „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ მოეწყოს, რისთვის დაარსდება ცალკე სექცია. ეს მით უფრო სასურველია, რომ აღნიშნულმა საზ გადოებამ ბევრი ხელთ-ნაწერი და საისტორიო მასალა შეჰკრიბაო. წინააღმდეგნი იყვნენ ბ-ნნი მ. მაჩაბელი, ალ. სარაჯიშვილი, ილ. ფერაძე, გორგაძე, მუსხელიშვილი და სხვანი. ინიციატორი საისტორიო საზოგადოების დაარსებისა ბ-ნ თაყაიშვილიც ამტკიცებდა საზოგადოების ცალკე დაარსების საჭიროებას. კარგა ხანს კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, ითხოვოს წესდების დამტკიცება და საზოგადოება დაარსოს, ხოლო იმის შესახებ მოლაპარაკება, თუ როგორი განწყობილება ექნება მას წ. კ. გ. საზოგადოებასთან, შემდეგ გამართოს.

✦ **ა. კავსაძის ხოროს კონცერტი** ხვალ, 2 მაისს, ავლაბრის არაქსიანისეულ თეატრში ქართული ხორო ალ. კავსაძისა გამართავს საინტერესო კონცერტს. ხორო შეასრულებს ქართლ-კახურ-იმერულსა და ევროპიულ ხმებს.

✦ **ექსკურსანტების ჩამოსვლა ტფილისში** 28 აპრილს საღამოთი ტფილისში მასწავლ. ბურჭულაძემ და ბარაჩმას წინამძღოლობით საექსკურსიოდ ჩამოვიდა ხონის სოსტატო სემინარიის 27 მოსწავლე. 29 აპრილს ექსკურსანტებმა დაათვალიერეს კავკასიის- და საეკკლესიო მუზეუმები. ექსკურსანტები ერთი-ორი დღე დარჩებიან ტფილისში, აქაურ ღირსშესანიშნავ დაწესებულებებს დაათვალიერებენ და შემდეგ ბაქოს გაემგზავრებიან.

✦ **სომეხთა კათალიკოსის ჩამოსვლა.** ტფილისში ჩამოვიდა სრულიად სომეხთა კათალიკოსი მკრტიჩ ხრიმიანი.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიტკის გუბერნიაში ორი წლით იგზავნებიან: ერასტი კლანდარი, აკაკი კუჩულარია და ალიახვერდი-ოღლი, რომელთაც იარაღი ამოუჩნდათ. საგუბერნატოროდან ეტაფით იგზავნებიან ე. სარაჯ-ოღლი, რომელსაც მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება ჰბრალდება.

✦ **მეაბრეშუმეობის გამოკვლევა.** იტალიის მთავრობას აზრადა აქვს გამოიკვლიოს მეაბრეშუმეობის საქმე მთელ დედამიწაზე. ამ აზრით იგი განსაკუთრებულ ექსპედიციებსა ჰგზავნის იმ ადგილებში, სადაც მეაბრეშუმეობას მისდევენ. ერთი ასეთი ექსპედიცია ახლო მომავალში, სხვათა შორის, კავკასიაშიაც მოვა. იტალიაში მეაბრეშუმეობას ძალიან მისდევენ და მთავრობას უნდა გამოიკვლიოს, სად რა კონკურენციას უწევენ იტალიის მეაბრეშუმეობას.

✦ 29 აპრილს ანანოვის სკოლის დარბაზში სომეხ ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ გადაიხადა 25 წლის საუბილეო დღესასწაული, რომელსაც აუარებელი ხალხი დესწრო.

✦ ოთხშაბათს, 2 მაისს, ტფ. საბჭოს დარბაზში ექიმი ს. ი. ხატისოვი წაიკითხავს დეტალურ ამ საკითხს „нормальный отдыхъ.“

✦ გვიხოვენ დავბეჭდოთ: „ეს მესამე კვირაა, ტფილისში, მიხეილის ქუჩაზე დაიკარგა მეუნარეულმანეს ბიჭი თორმეტი წლისა შაქრო გურაშვილი. წითელი ხალათი ეცვა და თეთრი ფაფახი ეხურა. მნახველთ ვთხოვთ აცნობონ ამ მისამართით: ჭავჭავაძის ქუჩა, № 3, სახ. ყიფიანისა, კატო არჩვაძეს“.

✦ 28 აპრილს, პოლიციის მე-8 ნაწილში, სურფკარაპეტის �მართზე ვიღაცას კამბეჩი გაჰქცეოდა. ხალხს ხმაურობაზე კამბეჩი ისე გადარეულა, რომ რამდენიმე კაცი გაუტანია. პოლიციელებმა თოფები დაუშინეს და საწყალ გლეხის კამბეჩი იქვე მოჰკლეს.

✦ ქალაქის საყასბოს გამგე ბეითლებმა ვართანიანცმა და მელკუმიანცმა გუშინ ქალაქის გამგეობას აცნობეს, რომ საყასბოს შემოსავალმა ძალიან იკლო, რადგან ქალაქის ზოგიერთ უბანში განსაკუთრებით მე-6 საპოლიციო ნაწილში მალვით საქონლის დაკვლა გახშირდაო.

✦ 28 აპრილს ბაღდასაროვის წყლის ქარხანაში ნაშუადღევის 3 საათზედ შევიდა რამდენიმე შეიარაღებული კაცი, რომელთაც მოითხოვეს მუქარით ფული. წაიღეს კასიდან 192 მან.

✦ 28 აპრილს მუშტაიდის ბაღის შესავალში გაუჩნდა ივანიცკის პროკურორს და სულ გადაიწვა.

✦ კარას, 29 აპრილს, მილიუტინის ქუჩაზე ჩხუბი მოსვლიათ მჭედელს შიო ქედელაშვილსა და მის ამხანაგს სიმონ გოლუბენკოს. ქედელაშვილს სიჰი ქვა ისე ძლიერ დაუხლია საფეთქელში გოლუბენკოსთვის, რომ იგი იქვე გადაიცვალა. ქედელაშვილი თითონ გამოცხადდა პოლიციაში.

პატარა ფელეტონი

ძლევით მოსილი მაისი

(თარგმანი)

შობამ, აღდგომამ და სული წმიდამ გამართეს კამათი ერთ საგნგებო საქმის გამოსაკვლევად. მიიწვიეს ორი სხვა დღესასწაულიც. ლაპარაკი ჩამოაგდეს იმის შესახებ, თუ როგორ დაეცვათ ძველებური, ღვთის სათნო ბედნიერი დღეები ახლად მოვლენილ, შეუპოვარ დღესასწაულისაგან, რომელმაც პოლიციის ნებადაურთველად და სულიერ მამათა დაულოცავად თვით-ნებობა გამოიჩინა და მიითვისა უფლება სადღესასწაულო დღისა. ბრალდებული კრებაზე მიიყვანეს. ლამაზის სახის, ძლიერებით მოსილ, ხელშებოჭილ ჭაბუკს თავი დინჯად ეჭირა. პირზე ღიმილი უქროდა და ისე შეჰყურებდა ბორკილს. იმის თვალებიდან მოკამკამებდა შუქ მფენი ნათელი. მან **პირველი მაისი** უწოდა თავის თავს. იგი სრულიადაც არა ჰკავდა ცოდვილს.

თავდაპირველად შობამ წყნარის ხმით მიმართა პირველ მაისს:

— ჩემო ახალგაზდა მეგობარო! რისთვის მოისურვე ჩვენის მშვიდობიან ცხოვრების არევ-დარევა? აი, დახე ორი ათასმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მე პატივს მცემს ყოველი ქრისტიანი. მ. ფენი და რომის პაპები ქედს იხრიან ჩემს წინაშე, მდიდრებსა და ღარიბებს თანასწორ მოწყალებას ვაძლევ, ბავშვთა და მოხუცთა სულის მდგომარეობაში ღრმად ფესვებს ვიდგამ. ნეტავ ვინ მოგცა ნება, შე თავზე ხელ-აღებულო, ხალხს უბძანო—შენი დღეობა იდღესასწაულოს და იმხიარულოს? პირველო მაისო, რომელ ხელმწიფის ნება-დართულ ამბავს აუწყებ ხალხს?

— ვაშა, ვაშა!—შესძახა ერთმა მოწვეულმა დღესასწაულმა და დასცალა ჭიქა ღვინი.

— ამაზე პირველმა მაისმა მარტივად მიუგო:

— მე ხალხს მშვიდობას ვაუწყებ!

— შობას სიბრაზით ღიმილი მოუვიდა. გაჯავრებულმა დაუყვირა:

— ეს სწორედ ახალი ამბავია! განა მე იმ თავითვე ხალხს მშვიდობას არ ვაუწყებ! ნუ თუ, შე ურწმუნო, არასდეს არ გსმენია: „მშვიდობა ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის სათნოება“?

— ეგ ზეპირადაც მისწავლია, როდესაც სახალხო სკოლაში დავდიოდი,— მრისხანედ მიუკო პირველმა მაისმა:— იქიდანვე უშინაარსო ლექსად მივიმჩნიე. მაშ თუ ასე არ არის, აბა დამისახელე შენი ბატონობის დროიდან ერთი წელიწადი მაინ, რომლის განმავლობაში ხალხი შენის სახელით თავს არ ესხმოდეს ერთმანეთს? დამისახელე ერთი ომი მაინც, რომლის გაძლიერებასაც შენ ხელი შეუშალე, ხოცვა ჟლეტა, რომელიც შენ უკუ-აგდე, მტრომა—ქიშპობა, რომელიც შენ მოსპე, და მაშინ მე ხელს ავიღებ ჩემს ახალგაზდა სამეფოზე.

— მაინც... ჰმ. ყოველ შემთხვევაში უნდა ვალიარო...—ლუღლუღებდა შობა; თავში არაფერი მოსდიოდა აზრად, ბოლოს ეანარგძო:—მშვიდობა არ არის ამ ქვეყნად. მე დიდი გავლენა მაქვს სულზე და იმ ქვეყნისათვის მზად ვყოფ მას, ამ ქვეყნად იძულებულნი ვართ მოვკვდეთ ღვთის, მეფისა და სამშობლოს გულისათვის...

— ვაშა, ვაშა!—შეაწყვეტინა სიტყვა იმავე დღესასწაულმა და გადაჰკრა ჭიქა ლუდი.

შობამ განაგრძო:

— ხომ ჰხედავ, შენ ვერ მიმხვდარხარ ჩემს სიმართლეს. მეც ხალხს მშვიდობიანობის მომხრე ვარ, ხოლო ომი უნდა არსებობდეს. „საუკუნო მშვიდობა—ეს ხომ ძილიაო“, სთქვა მოლტკემ. მოლტკე-კი დიდებული ქრისტიანი იყო.

— მე,—სთქვა პირველმა მაისმა:—მთელის ჩემი ძალ-ღონით ვსცდილობ შევაერთო კაცობრიობა, ვცდილობ ხალხნი ერთად მუშაობდნენ, შეკავშირებულად იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, ცოდნისა და კულტურის წარმატებისათვის.

— ეგ ხომ სისულელე იქნება!—სთქვა გულ დაწყვეტით შობამ:—შეცდომაში შეჰგვყავს ხალხი! თუ შენ მეტი არაფერი იცი, მგლის კერძი ყოფილხარ... ახ, უკაცრავად, მე მინდოდა მეთქვა, უფალმა ღმერთმა გაკურთხოს მეთქი... შეგიძლიან კიდევ რამ, სთქვა თავის გასასამართლებლად?

პირველმა მაისმა განაგრძო:

— მე ვიღვწი მშრომელთა თანასწორობისათვის.

— ეს ხომ ძველადანვე ჩემი მთავარი შრომის საგანია!—დაცინვის კილოთი მიუგო შობამ,—მე, როგორც ღარიბთა ქომხებს, ისე მდიდართა სასახლეებს თანაბარ ნათელით ვმოსამ; თვით მცირედიც კი ღებს ჩემს კურთხევას. თუ შენ სხვა რისამე აღმოჩენის ძალა არ შეგწევს, ამ ქვეყნად მეტი ბარკი ყოფილხარ. თანასწორობისათვის კი მე მუდამ ვზრუნავ.

— შენ იმ თანასწორობისთვის ზრუნავ,—გაკვირვებით მიუკო პირველმა მაისმა:—

— რომლის დროსაც, ისედაც მრავალგვარ გაჭირვებაში მყოფ ლატკებს და მათ შვილებს ათას გვარ ბრწყინვალე საგანს ამზადებენ მდიდრებისა და მათ შვილების სასიამოვნოდ!

— რა ექნა რომ ასეა ქვეყანა მოწყობილი!—ლმობიერად. სთქვა შობამ—ღვთის წინაშე ყველა თანაბარია, ამ დედამიწაზე კი უნდა უთანასწორობა არსებობდეს. ნუ თუ ეს მცნება არ გესმის?

—არა,—განაცხადა პირველმა მაისმა:—მე მთელის ჩემის არსებით ვიღვწი კაცობრიობის თანასწორობისათვის—ამ გვარია ჩემი მოწოდება. მე მსურს კაცობრიობის განახლება!

— რა განახლება, რის კაცობრიობისაო?—ძამოიძახა აღდგომამ:—მაშ მე რაღა მოხელე ვყოფილვარ! ათასი წელიწადია, რაც მე კაცობრიობის განახლებისათვის ვზრუნავ!..

— ვინც ზრუნავს და სცდილობს კაცობრიობის განახლებისათვის, მას თქვენ მარადის და ეხლაც ჯვარს აცვამთ!—სთქვა პირველმა მაისმა.

— მეამბოხე, რასაკვირველია,—განაგრძო აღდგომამ:—უნდა დასჯილ იქმნას. ყველა გამგებელთა დადგენილებას უნდა დაემორჩილოს ამ ქვეყნად. მე მაინც მტკიცე რწმენა მაქვს კაცობრიობის მკვდრეთით აღდგომისა და შემდეგ ზეცას..

— შენ ზეცას და მე კი ქვეყნად გაზაფხული დავამყარე. ჩემი ახალი ქვეყანა ქუხილისა და ქარიშხალის დროსაც მწიფდება! ეს ახალი ქვეყანა შრომისა და სულის განთავისუფლებას ჰქადაგებს.

— სული? სულის განთავისუფლებაო? ჰეი, უკაცრავად: მაგაზე ზრუნვა მე მაქვს მონდობილი!—წამოიძახა სამებამ:—შენ მიგითვისებია ჩვენი აზრი, მოწადინებული ხარ, მოპარულის აზრებით ხალხის თვალში სახელი დაიმსახურო, მაგრამ გარწმუნებ, მე ფრიად სასიამოვნო დღესასწაული ვარ!.

— თქვენ ყოველთვის სულსა სტანჯავდით და აწამებდით. მუდამ გაფრთხობდათ თავისუფალი აზრი. მე კი ფრიად დიდი აღმოჩენა მოვფინე ქვეყნიერობას.

— მკვეხარავ!—შეჰყვირეს გაბრაზებულმა მსაჯულებმა:—ყოველმა დიდებულმა აღმოჩენამ მიახწია უაღრესამდე. ჩვენ აღმოვაჩინეთ ფრიად დიადი და უმწვერვალესი ცა!

— მე კი აღმოვაჩინე დედა-მიწა!—გაისმა ხმა პირველ მაისისა:—ის დედამიწა, რომელიც თქვენ გადააქციეთ გოდების ქვეყანად. მე ვუქადაგებ დაჩაგრულებს, რომ ეს დედა-მიწა ყვავილების ბაღია, აღვსილი სინათლითა და სუნნელოვანებით, რომელიც აძლევა თავის ნაყოფს თანასწორად ყველასათვის, ვინც კი ბეჯითად ამუშავებს საკუთარ მარჯვენითა და თავით. მე ვიწვევ ღარიბებს და ლატკებს, მოუარონ დედა-მიწას, ისარგებლონ დედა-

— ეს ბოლოს ბრძოლა, ბოლოს ბრძოლა!—ამ ფიქრებმა ბოლოს ბრძოლა!—ამ ფიქრებმა ბოლოს ბრძოლა!—ამ ფიქრებმა

მიწის თავისუფლებით და ბედნიერებით..-

მაშინ წმ. სედანმა წამოიძახა:

— საკმაოდ მოვისმინეთ შენი ამაღელვებელი სიტყვები. ქრისტიანეთა მაღალ სარწმუნოების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად საკმაოა ჩემი კოლეგია—შობა, აღდგომა და სამება. შენ-კი, ქარაფშუტავ, ძალა არ შეგწევს რაიმე ახალისა და საუკეთესოს შესაქმნელად. რაიცა შეეხება პრაქტიკულ და მასთან თანამედროვე იდეალურ მოთხოვნილებებს, რაც-გორიც არის სიყვარული უფროსისა, საკურთხეველისა, სამშობლოისა და ჯარისა, ჩვენ ეს სისრულეში მოგვყავს.

— ვაშა, ვაშა!—წამოიძახა ისევ იმ დღესასწაულმა და კვლავ გადაუძახა ჭიქა ლუდი.

— ყოვლის უწინარესს ჩვენ ვზრუნავთ თანამედროვე პრაქტიკულ საკითხებისათვის,—განაგრძო წმ. სედანმა:—ჩვენ საძირკველს უდებთ სამხედრო კავშირებს და სამხედრო ხომალდებს. ვერც გარეშე და ვერც შინაური მტერი ვერ გადაგვირჩება, თუ რომელიმე მათგანი მოისურვებს ჩვენის ჰატიოსნების შებღალვას—ჩვენ მათ იარაღით აღვხოცავთ ჰირისა ამა ქვეყნისაგან! შენ კი, მაცდურო, რისთვისა ხარ საჭირო?

— რვა საათის სამუშაო დღე აწერია ჩემს დროშას!

— მიუგო პირველმა მაისმა.

— რვა საათის სამუშაო დღეო?! აი რა ყოფილა! მაშ შენ სიზარმაცეს ჰგალავგებ? ეს ხომ კულტურის დაღუპვაა. ყველაფერი გქონდეს და არაფერი აკეთოო, აი შენი ზნეობა! ფუ, ფუ და კიდევ ფუ!

მსაჯულები აღელვების გამო ენას ვეღარ ანძრევდნენ, ერთმანეთს სიტყვებს აწყვეტინებდნენ. ყველანი დიდათ აღელვებულნი იყვნენ. ბოლოს მსაჯულებმა თავიანთი განაჩენი გამოაცხადეს:

„სადღესასწაულო სახელის უკანონოდ მითვისებისათვის პირველი მაისი დამნაშავედ იქმნას ცნობილი. ამისათვის იგი უნდა სამარცხვინო ბოძზე გაიკრას, რათა ხალხს შეეძლოს დაგმობა მისი, რომელსაც არა სწამს კაცობრიობის და ღვთის კანონები“.

ჯალათმა გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა. პირველი მაისი, გაკრული სამარცხვინო ბოძზე, მაგრა იდგა. ხუთი მსაჯული ეძახდა ხალხს, ძალზე დაესაჯათ ამაყი დამნაშავე.

უეცრად სამარცხვინო ბოძმა იწყო აყვავება. ბორკილების შორის გადმოშალა მრავალ გვარი ყვავილი, რომლებმაც თავიანთ ძალით გაჰგლიჯეს ბორკილი. შორიდან გამოჩნდა დიდებული გუნდი მუშებისა. ბავშვები გარს ეხვეოდნენ პირველ მაისს. პირველმა მაისმა ყოჩაღად გაისწორა განთავისუფლებული სხეული.

ნაცნობები ვართ, ასე ვთქვათ.. მოხარული ვარ, რომ შეგხვდი და შენს ცეკვით დავსტკბები. მაგრამ უნდა გითხრა, რომ მაინცა-და მაინც ნუ გადაჭარბებ... ნუ დაივიწყებ, რომ აქ, ასე ვთქვათ, პატიოსანი საზოგადოებაა შეკრებილი.

მაგდალინელმა პასუხი არ აღირსა და მიუახლოვდა იესოს. მუხლ მოდრეკილი, იგი აწვეთებდა ძვირფასს სურნელებას იესოს ფეხზე და თავის გაშლილის თმით აშრობდა.

იესომ არ აუკრძალა.

მუციამ უყურა და გულში სთქვა:

— ურიგო არ არის, როცა, ასე ვთქვათ, ქალი თავის გძელი და რბილი თმით ფეხს გიშრობს.. — და გადაიხარხარა.

—

მარიამ მაგდალინელმა თავი მიანება გამათახსირებელ ხელობას. იგი დაბინავდა პიფანიაში თავის დას მართასა და ძმას ლაზარესთან.

იესო ხანდახან დადიოდა მათთან.

ერთხელ მუცია შვრიის სავაჭროდ ლაზარესთან მივიდა და ხედავს: მარიამ იესოს ფეხთითა ზის და იმის სიტყვას ისმენს, მართა კი სადილს აკეთებს.

— უფალო, ნუ თუ ვერა ჰხედავ, რომ და არ მეხმარება? უთხარი დამეხმაროს!— სთქვა მართამ.

— მართა, მართა, შენ ბევრ რამეზე ფიქრობ და საჭირო-კი ერთი რამ არის,— მიუგო იესომ:—მარიამმა აირჩია ის გზა, რომლიდანაც ვერავინ გადააყენებს.

— მესმის,— წაიბუტბუტა მუციამ,— მაგრამ რას იზამდნენ ნეტავი, რომ მარიამ ადილი არ მოემზადებინა! ჰი, ჰი, ჰი!

—

მუციამ ხშირად ჰხვდებოდა იესოს ცხოვრების სხვა და სხვა პირობაში და ყოველი სიტყვა მისი აღელვებდა. მუციას აზრით, წინასწარმეტყველის სიტყვით და საქმით ხელს უწყობდა უყმაყოფილებას და სიზარმაცეს და მძულვარებასა და ზიზღსა სთესდა მდიდრების, სამღვდელოების, მთავრების და, საზოგადოდ, უფლებით აღჭურვილთა მიმართ.

— თქმა არ უნდა,—ამბობდა მუცია:— რომ ჩვენი საზოგადოებრივი წყობილება, ასე ვთქვათ, ვერავის დააკმაყოფილებს. საჭიროა რეფორმები. ეს ეჭვს გარეშეა. მე განათლებული და ლიბერალი კაცი ვარ და, ასე ვთქვათ, მესმის... დიაღ, რეფორმებია საჭირო.. მაგრამ, მაჩვენეთ ისეთი ჭკუათა მყოფელი კაცი, რომელსაც ჰქონდეს ქონება, მემკვიდრეობითი თუ კეთილ შეძენილი და რომელიც, ასე ვთქვათ, გულის ძგერით არ მოელოდეს წესწყობილების შეცვლას! ვინ არის იმის თავმდები, რომ მაშინ უკეთესი დღე დადგება? ყველაფერზე თანხმა ვარ, მაგრამ რევოლიუციის წინააღმდეგი-კი ყოველთვის ვიქნები...

—

უკანასკნელმა შეხვედრამ იესოსთან მუცია სასოწარკვეთილობამდის მიიყვანა.

მუცია დაბინავდა იერუსალიმის მახლობლად.

— თქვენა ბძანდებით პატივცემული ბატონი მუცია?—მიეგება ერთ დღეს მასპინძელი.—დილა კარგა ყოფნისა!

— გმადლობთ. ჩემი ჯორი სად არის?

— თქვენ ჯორი? ჰმ...

— დიაღ, ჩემი ჯორი, რომელიც გუშინ აქ დავტოვე...

— ჰმ.. დიაღ..- თქვენი ჯორი წაიყვანეს...—გაუბედავად მიუგო მასპინძელმა.

— რაო? ჩემი ჯორი...

— დიაღ, იესოს მოწაფეებმა წაიყვანეს...

— იესოს მოწაფეებმა? ჩემი ჯორი იმათ წაიყვანეს?

— დიაღ, ჩემ თვალ-წინ ახსნეს და წაიყვანეს...

— მერე, თქვენ ნება მიეცით?

— არა, პროტესტი გამოვაცხადე.

— მერე?

— მათ მითხრეს: „შენი საქმე არ არის, ჯორი უფალს სჭირდებაო“. რას ვიზამდი: ისინი ბევრნი იყვნენ და მე-კი ერთი..-

— არ იცოდით, რა უნდა გექნათ? მაშ თქვენ, ასე ვთქვათ, მათი თანამოაზრე და ხელის შემწყობი ყოფილხართ! ნუ თუ არ იცოდით, რა უნდა გექნათ, როცა მოპარებული ჯორი მიჰყავდათ? მაშ, მოწყალეო ხელმწიფევ, მე ვიცი, რაც უნდა ვქნა: ეგ გახლავთ ქურდობა! დიაღ! და თქვენც და სხვებსაც ოლქის სასამართლო სასტიკად დაგსჯით! გთხოვთ წამობრძანდეთ, ასე ვთქვათ, ოქმის შესადგენად!

მუციის ჯავრობის დროს—წარმოიდგინეთ სასწაული — ჯორი მარტოდ-მარტო და თავისით დაბრუნდა... მუციამ ჩოტკი გაჰკრა, მიიღო მხედველობაში პროცესის ხარჯი და „ასე ვთქვათ“, გადასწყვიტა საქმის ჩაქრობა.

—

მეორე დღეს იესო ჯვარს აცვეს.

მუციამ გალგოთას მახლობლად გაიარა.

შეხედა, იცნო... და კაუოფილებით სთქვა:

— კარგად ვიცოდი: იმ კაცს, ასე ვთქვათ, ასე უნდა გაეთავებინა...

პ. ჯორჯოხელი.

ᲞᲠᲔᲡᲡᲐ

„ლახვარი“ პოლემიკის კილოს გვიწუნებს, პოლემიკაში „ძალიან, ძალიან გამოუცდელად“ გვთვლის. რა თქმა უნდა, ჩვენ „ლახვრის“ პუბლიცისტების საპოლემიკო კილო არა გვაქვს, არც მათი საპოლემიკო ქამანდები მიგვაჩნია სერიოზულ მწერლობის შესაფერად. ამ მხრივ „ლახვარი“ მართალია, ჩვენს პოლემიკას მაფს დემაგოგიასთან ბრძა რა გაეწყობა! არც გვშურს „ლახვრის“ პუბლიცისტების გამოცდილი პოლემისტობა.

მაგრამ ჰოლემიკა – ჰოლემიკად დარჩეს, ხოლო ჩვენი შენიშვნა კი, რომ „ლახვარი“ ფრაზებს ჰღეჭავს და მას სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის განსაკუთრებითი დამახასიათებელი სტატიკო თვისება ვერ უპოვნია, ეს შენიშვნა კი მაინც სრული სიმართლეა. თითონ „ლახვარი“ იძულებულია აღიაროს, რომ იმ წერილში, რომელმაც ჩვენი შენიშვნა გამოიწვია, ნაჩვენები არაა, რითი განსხვავდება სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა სხვა მემარცხენე პარტიების ტაქტიკისაგან. მართალია, ის წერილი კერძოდ და საკუთრივ სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის განსახილველად იყო დაწერილი, როგორც ამას თვით წერილის სათაური „სოც. დემოკრ. ფრაქციის ორი თვის მოღვაწეობა სათათბიროში“ მოწმობს, მაგრამ ეს „ლახვრის“ პუბლიცისტებს წარმესაც არ ახვრევინებს.

«ისარი» რომ არ აჩქარებულიყოვო, სწერს ეხლა „ლახვარი“, დღევანდელ ნომერში მიიღებდა პასუხს იმის შესახებ, «ხალხის დაინტერესება სათათბიროს მუშაობით—მთელი ოპოზიციის სურვილია“, თუ არა! შემდეგ წერილებში ჩვენ ვეცდებით გამოვარკვიოთ, ხალხის ორგანიზაცია სათათბიროს გარშემო—ყველა მემარცხენე პარტიის ნიშნობლივი თვისებაა“, თუ არა? აგრეთვე დანარჩენ აზრებზედაც მიიღებს პასუხს „ისარის“ აჩქარებული «მეპრესს» (თუ პირდაპირ პასუხს არა, გადაკვრით მაინც).

მაშ ასე, ჯერ-ჯერობით ჩვენი შენიშვნა მართალი ყოფილა. „ლახვარს“ თავისივე სიტყვით სოც.-დემოკრატიის ფრაქციის ტაქტიკა ისე დაუხასიათებია, რომ არა სჩანს, რა შეადგენს სოციალდემოკრატიის სხვა ფრაქციებისაგან განმასხვავებელს თვისებას, თუმცა წერილის დასაწყისში იგი ძირიანად ბრძანებდა: „დუმის ფრაქციებში ყველაზე ნათლად **თავისი პოზიცია** სოციალდემოკრატებს აქვთ გამორკვეული და შემდეგ ამ პოზიციის გამოსარკვევად ხაზგასმით ამბობდა, სოც.-დემოკრატია ხალხს აინტერესებს სათათბიროს მუშაობით, ხალხს „ითრევს“ პოლიტიკაში, და ხალხს აკავშირებს სათათბიროს გარშემოვო. ჩვენი შენიშვნის შემდეგ კი „ლახვარი“ გვეუბნება, ნუ აჩქარებულხართ, შემდეგ წერილებში გამოვარკვევთ, რით განსხვავდება სოც.-დემოკრატია სხვა მემარცხენე ფრაქციებისაგანო. შემდეგ რას იტყვის „ლახვარი“—ეს არ ვიცით და არც მაგრე რიგად საინტერესოა, მაგრამ ის კი მართალი არაა, ვითომც დღევანდელ ნომერში („ლაპარის“ № 17) იძლეოდეს იგი პასუხს იმის შესახებ, „ხალხის დაინტერესება სათათბიროს მუშაობით—მთელი ოპოზიციის სურვილია, თუ არა“.

თავის „დღევანდელ ნომერში“ კი „ლახვარი“ გალაღებული მეცნიერობს, სოციალ-დემოკრატიის აზრით დეპუტატის ხალხის მსახური უნდა იყოს, ხოლო კადეტების აზრით კი იმისი აპეკუნიო, სოციალ-დემოკრატიის აზრით დეპუტატი ხალხს უნდა ეკითხებოდეს და ხალხს უნდა აცნობებდეს თავის აზრს, კადეტების აზრით კი საჭირო არაა, ხალხს აცნობონ დეპუტატებმა თავიანაბიჯები და თავისი აზრები, ისინი „სიმძიმის ცენტრს“ (?) კომისიების მუშაობაში ჰხედავენო.

ფიცი მრწამს, ბოლო მაკვირვებსო—სწორედ ასეთ მეცნიერობაზე ითქმის. კადეტებმა რამდენიმე საჯარო ლექცია წაიკითხეს სათათბიროს მოქმედების შესახებ, სხვათა შორის წაიკითხეს ლექციები სწორედ ამ თემაზე მილიუკოვმა და გესსენმა, „ლახვრის“ პუბლიცისტები კი გაიძახიან, კადეტებს საჭიროდ არ მიაჩნიათ, ხალხს აცნობონ დეპუტატების მოღვაწეობაო. კადეტებმა მთელი რუსეთი თავის კადეტური ლიტერატურით გასტენეს, „ლახვრის“ პუბლიცისტები კი ლაღად დანავარდობენ თავის გაზეთის ფურცლებზე და არწმუნებენ მკითხველებს, კადეტებს ხალხის ზურგს უკან ჰსურთ მოღვაწეობა სათათბიროში, რაგორც „აპეკუნობის“ პრინციპიალურ მიმდევრებსო. ასეთი არგუმენტებით, „ლახვრის“ პუბლიცისტებო, ხომ იმასაც დამტკიცებთ, რომ ორჯელ ორი ხუთია და არა ოთხი.

ერთხანად სოციალ-დემოკრატების დეპუტატებმა, ალბად თავის უვიცობის გამოსაფენად, მოითხოვეს, რომ საათბიროს აღმასრულებელი ძალა (исполнительная власть) ჩაეგდო ხელში და ევარჯიშებინა. მაშინ კადეტები მკაცრად წინააღუდგნენ მათ და პოლემიკის დროს შეიძლება გაკადეტებურმა სოციალ-დემოკრატებმა, როგორც იზგოევია, კიდეც გადააჭარბეს, მაგრამ იზგოევი სხვაა და კადეტების პარტია კიდევ სხვა, იზგოევი პოლემისტია და არა პარტიულ ტაქტიკის გამომხატავი. ხალხის დაინტერესება პარლამენტის მუშაობით—ეს სწორედ ის კადეტური თილისმაა, რომელმაც სასწაული უნდა მოახდინოს, ურევოლიუციოდ რევოლიუცია გაამტკიცოს... ეს, თუ გნებავთ, კადეტების უტოპიაა, „ლახვარი“ კი გვეუბნება, კადეტებს ხალხის დაინტერესება არა სწადიანთ სათათბიროს მუშაობით, სოციალდემოკრატებს კი ამისი სურვილი აქვთ და ესაა მათი განსხვავებაო.

როგორც ჰხედავთ, „ლახვარმა“ ვერც ჩვენი შენიშვნის შემდეგ მოახერხა ეჩვენებინა ის, რაც წინადვე უნდა დეენახვებინა. ვერ მოახერხა, გამოერკვია, ვითომც მთელს ოპოზიციას კი არა—მარტო სოც.-დემოკრატიულ ფრაქციას უნდოდეს, ხალხს ინტერესი გაუღვიძოს სათათბიროს მოღვაწეობისადმი. ან კი რაგორ გამოაშკარავებდა იმას, რაც თავისთავად სიცრუე და სიყალბეა.

წერილი სპარსეთიდან

ურმიის ამბები.

ამას წინად თავრიზიდან ურმიაში ჩამოვიდა ახალგაზრდა ოსტატი მიზა ჯავადადა, რომელსაც ურმიის საზოგადოება (თაობობა) აღტაცებით მიეგება. მეორე დღეს მან მრავალ რიცხოვან მიტინგზე ძლიერი სიტყვა წარმოსთქვა და დღეს მეცამეტე დღეა, რაც იგი დაბარავს განაგრძობს. იგი ქალაგების ერთობას ქრისტიანთა, მჰმადიანთა და სხვა რჯულის ხალხთა შორის, ურჩევს ხალხს, დაეწყოს სწავლა განათლებას, მაგრამ ყველაზე ხშირად იგი ეხება მთავრობას და იმის მოხელეთ. დაბარავობს უბრალოდ გასაგებ ენით, იგავებით და მაგალითებით. მწეემსი მოვალეო,—ამბობს ხოლმე ხშირად ოსტატი,—თავის ფარას უპატრონოს და მგელს მსხვერპლად არ გაუტანოს. დღეს მწეემსი, ესე იგი მთავრობა და იმისი მოხელენი, თვითონ მგლად გადაიქცა და მის როდს ასრულებს. საწყოოა გონს მოვიდეს ხალხი, რომ მწეემსებს კბილები დაეძრაოს და მგლობაც სულ მოსპოსო. ოსტატი არც შეშამეულებს და ხანებს ივიწყებს. ხანებსაო – ბედლები ბურითა აქვთ სავსე ხალხის ნაოფლარით, სწყალი გლეხობა კი შიმშილით იხოტებაო.

ურმიაში ამას წინად გამოვიდა სპარსული ეოველ კვირეული ყურნალი სახელად „ფარიათ“ (მოწოდება). დღემდე ურმიაში თათრულ ენაზე გაზეთი არ გამოდიოდა. ეს პირველია.

არსდება ურმიაში ნაციონალური ბანკი, რომლის მიზანი იქნება გარეშე ვალის გადახდა და შინაურ საჭიროებათა დაკმაყოფილება. შესაძლოა რუსის ბანკს ბოიკოტი გამოუცხადონ. რუსის ფულის კურსი ძლიერ დაეცა, ესე რომ მარეთი 5 კრანად ძლივს გადის.

საკონსულოში ორის მაგიერ ახლა ცამეტი კაზაკი მსაურებს, რომელნიც დიდი ხანი არ არის, რაც ჯულფიდან ჩამოვიდნენ. აგგილობრივი მცხოვრებნი ცუდის თვალით უყურებენ ამ გარემოებას.

ურმიაში 5 ათას მეომარს მოუყარეს თავი, რომ ქურთებს იარადი აჭუარონ. ეს მძიმე საქმე შაჰმა მეჯდი სულთანს დაავალა. ეს ის მეჯდი სულთანია (ურმიელი ხანი), რომელმაც, მთავრობის დევნის გამო, ერთი წლის წინად ინგლისის ქვეშევრდომობა მიიღო თავრიზში და ვალიათს ხელიდან გაუსხლტდა. ცივილიზაციის მოყვარულია და ანჯუმანს ეშხრობა. კავკასიას კარგად იცნობს, რადგან ცოდშვიდი დღესაც ტფილისში ჰყავს და თითონაც დიდი ხანი არ არის, რაც ტფილისიდან ჩამოვიდა.

ქართველი ურმიაში.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

—:—

ზუგდიდი ორ აბრილს დ. ზუგდიდის სამაზრო სასამართლოში მაზრის უფროსის თანაშემწის თავმჯდომარეობით მოხდა არჩევნები ქალაქის ორის დეპუტატისა. გამოცხადდა კანონიერი რიცხვი ამომრჩეველთა. თავმჯდომარემ კრება გახსნა და წინადადება მისცა საზოგადოებას, კანდიდატები დასახელებინა. ძველი დეპუტატი კორტოზია თვალ-ტრემდინი შეჰყურებდა საზოგადოებას და სთხოვდა ისევ აერჩიათ, მაგრამ ბედმა უმტყუნა: საზოგადოებამ არა თუ არ დასახელა, ერთხმად დაადგინა, იგი დაეთხოვნა და ამასთან ქალაქის ხარჯის ანგარიშიც მოეთხოვნა. ეს საქმე დაეკვალა განსაკუთრებულ კომისიას. კანდიდატებად კი დასახელეს ოთხი სხვა კაცი, რომელიც ერთ-ერთ ეროვნულ ბანკს არ ეშინოდა და ვაჭარი ბეტრე ყვანია. ჩვენი ფიციერ კი დადონებული და დაძარცვული ციხეულები გახდა უკან, ცარიელ-ხელ-ფეხ.

14 აპრილს კიდევ მოხდა არჩევნები ზუგდიდის საურთიერთო საკredიტო საზოგადოების დირექტორებისა. თავმჯდომარეობდა მაზრის მარშალი ივანეძე. უნდა აერჩიათ სამი დირექტორი, ალშიბაიას, დ. ყვანიას და დათა კარტოზიას მაგიერ. როდესაც კრება დაიწყო, გამოირკვა, რომ კანონით ამ წელს უნდა გასულიყვნენ, თუ ხელახლა არ აირჩევდნენ, მოდიოდ ორი დირექტორი—ალშიბაია და ყვანია. შეკრებილნი ძალიან დაადონა იმ ამბავმა, რომ კარტოზიას წასვლის ვადა წრეულს არ იყო. კრებამ, მიიდო რა მხედველობაში, ის გარემოება, რომ დათა კარტოზია, რომლის ცუდი საქციელი არა ერთხელ იყო აღნიშნული გაზეთებში, ცნობილი იყო კეთილშობილის ერთგულ და ყურ-მოჭრილ მონად რეაქციის დროს და აგრეთვე არა სიამედო კაცად, მოისურვა იმის გაძევება ბანკიდან, ისევე როგორც დეპუტატობიდან. ამისთვის, რადგან სხვა დონე არ იყო, კრებამ მიმართა შემდეგ ზომას: მოუკლო ჯამაგირი და ხუთას მანეთის ნაცვლად, სამასი მანეთი დაუნიშნა. ამითი კრებას უნდოდა აეძულებინა კარტოზია, სამსახურისთვის თავი მიენებებინა, მაგრამ ცდა ტყუილი გამოდგა. ამ ვაჟბატონმა მაინც არ იკადრა უარის თქმა. შეიძლება, კრებას რომ წინდაწინვე ევაჭრა, კარტოზია ორას მანეთსაც დასჯერებოდა...

პირველ დირექტორად ისევე არჩეულ იქმნა ვლადიმერ ალშიბაია, ხოლო მეორედ დ. ყვანიას მაგიერ, რომელმაც თავის სურვილით დანება თავი, კერძო ვექილი ნესტორ დვალია.

შესანიშნავი იყო საზოგადოდ ზუგდიდის უკანასკნელ ხუთი წლის არჩევნები. დათა კარტოზიას ჰყავს ერთი ეურ-მოჭრილი მონა ვატა მიქელაძე (დეპუტატის კანდიდატია). რამე არჩევნებზე უსათუოდ ორივე გამოცხადდებოდნენ ხოლმე. უწინარეს ეოველისა გამობრძანდება ხოლმე ჩვენი ვატა და თავმჯდომარის ანუ დეპუტატის ადგილზე დასასხედებდა თავის ერთგულ დათა კარტოზიას, თან დაუმატებდა, რომ იგი დიდად პატიოსანი კაცია, ვაჭარი და ავირჩიოთო. თავის მხრივ კარტოზიაც გამოიჭიმებოდა და საკანდიდატო ანუ დამფასებლების ადგილზე დაიძახებდა: ეი პატიოსანი კაცი—ვაჭარი ვატა მიქელაძე, ავირჩიოთო. ხალხს თუმცა არ მოსწონდა ესენი, მაგრამ ბევრს არ ეწინააღმდეგებოდნენ. ასე იყო ბოდოშდე, მაგრამ ეხლა, მათი ბედის ჩარხი, როგორც ხედავთ, უკუდმა დატრიალდა.

აქაური.

კახეთი. ხანგძლივ და თოვლიან ზამთარს შოჭეეა გვიანი და პირველში ნოტიო გაზაფხულ. ავდრების შემდეგ ამ ბოდო დროს დარი დაიჭირა, ნამდვილი გაზაფხული დადგა. მთელი კახეთი ს

შინდელ უმოუსვლობაა. ამასთან ძალიან ხარჯიანი შურიც დადგა, ზოგ სოფელში ოვარძლი, ე. ი. მათრობელა ბევრი შეჭეფა, მაგრამ ამის და მიუხედავად მაინც საზრდოდ გამოიყენეს, თუმცა, რასაკურველია, არა სასურველად იმოქმედებდა. მაშ სადა მქონდა კარგი შური თუ მათრობელიანი არ გამესადებინა—შემომჩიოდა ერთმა გლეხმა, ცოლკე კი ძალიან გვათრობდა და ვერცა ვჭამდით, მერე თავანკარ შურში ურეკდით და ისე გამოვიზოგეთო. დიახ თუმცა შური ნაკლებ მოვიდა და არც დვინის მოსავალი იყო უხვი, მაგრამ მაინც ასეთ ნაკლულევანობას არ განიცდიდა.

წელს ბევრი ხარჯი დაატარეთ თავს. 2—3 წლის სახელმწიფო ხარჯს შესატანი იყვნენ მეხოგრენი. ერთად მოსთხოვეს და რომ არ შეეტანათ, არ იქნებოდა, უარესი დღე დადგებოდათ. ეს კარგად იცოდა კახელმა გლეხმა. ერთი წლისა რომ ეოფილიყო, კიდევ არაფერი ახლა ამას ზედ დაუმატეთ სეტეკვისაგან დაზარალებულ სოფლები. როგორც იყო გაისტუმრეს, მაგრამ კიდევ დარჩა ზოგ სოფელზე. ამათ გაზაფხულზე დაუწყეს თხოვნა. კიდევ გაიწ გამოიწიეს გლეხებმა ვალისთვის იღებენ ვალს კერძოდ თუ სოფლულად და ისტუმრებენ.

თუ რამდენიმე წლის ხარჯის ერთად გარდახდა არა, გაჭირვება თავიდან ასცდებოდა კახეთს და არც უშურობას იგრძნობდა. შურით ან ფულით დახმარების იმედი არსაიდან ექვს; თუნდაც ითხოვოს, არც დაუჯერებენ და არც მისცემენ. კიდევ იოდას წავა როგორმე კახეთი, თუ ხარჯების შეკრება შეაჩერეს შემოდგომამდე მაინც. შურისთვის იმუშაოს თუ ფულისთვის, ეხლა ბევრი თავის მამულს ხელს აკლებს და დღიურად სხვაკან მუშაობს, რათა აღებული ფულით შური იყიდოს.

საქონლის საკვების ნაკლულოვანობას არა ნაკლებ ჭკრძნობს კახეთი. საქ. საჭმელი დიდი ხანია გამოიდია. კახელს არ ახსოვს, რომ თავა ასე ძვირი ეოფილიყოს, როგორც წელს; ეხლა ფუთი 60 კაპ. და მეტად იყიდება სოფლებში. **ᲘᲣᲚᲘ**

რუსეთი

✦ **სამხედრო მინისტრის ბრძანება.** როგორც გაზ. „ნოვ. სტროი“ იუწყება, სამხედრო მინისტრს ბრძანება გაუცია, იმ აფიცრებმა, რომელნიც საველე სასამართლოს წევრებად იყვნენ, არ გამოაქვეყნონ ამ სასამართლოს მოქმედების თავიანთი შთაბეჭდილებანი.

✦ **აგრარული მოძრაობა.** იგივე გაზეთი იუწყება, რომ ბესარაბიის გუბერნიაში ძლიერი აგრარული მოძრაობა დაიწყოო. ოგრეევსკის მაზრაში დიმოსა და სირბურს ბამულში გლეხებმა მიწა თავისს ნებით მოხნეს და დასთესეს. ხოლო ნისპორენაში ხელთ ჩაიგდეს მემამულის ოჯახის მოწყობილება. ჯარი გაგზავნეს.

✦ **გლეხების და დარაჯების შეტაკება.** ყაზახის გუბერნიის იადრინსკის მაზრაში გადასახადის ძალით მოკრების დროს გლეხებსა და დარაჯებს შორის შეტაკება მოხდა. რამდენიმე გლეხი მოკლულია. 60 გლეხი დანებდა და პატიება ითხოვა, მაგრამ დარაჯებმა ძალზე სცემეს ყველას და მერე საპატიმროში საგდეს.

✦ **სათადარიგო სალდათები სტრაჟნიკების ადგილზე.** რადგან ბევრ ადგილას სტრაჟნიკები სამსახურის შესრულებაზე უარს აცხადებენ და სხვებიც ვერ უშოვნიათ, შინაგან საქმეთა მინისტრმა სამხედრო მინისტრს წინადადება მისცა, ეს ადგილები სათადარიგო სალდათებს მიეცეთ ხოლმე.

✦ **პოლიტიკური საქმეები.** იუსტიციის მინისტრის განკარგულებით, პეტერბურგის პროკურატურას დაევალა პოლიტიკურ საქმეების წინასწარ გამოძიების დაჩქარება. გამომძიებლები ვალდებულნი გახადეს ცოტა ხანში წარადგინონ ყველა საჭირო მასალა.

✦ **დაზარალებული მემამულენი.** სარატოვის გუბერნიის დაზარალებულმა მემამულეებმა სთხოვეს მინისტრს თავვასილჩიკოვს უზღოს ხაზინამ მათ გლეხთა მოძრაობის გამო მიყენებული ზარალი. ვასილჩიკოვმა ფინანსთა სამინისტროს გადასცა მემამულეთა თხოვნა ზედწარწერით, რომ ამ შუამდგომლობის ასრულება ძალიან საჭიროაო.

✦ **პოლიციის დეპარტამენტის განკარგულება.** პოლიციის დეპარტამენტმა მიმართა თავის საზღვარგარეთელ აგენტებს განკარგულებით, თვალ-ყური ადევნონ ყველა იმათ, რომელნიც გერმანიაში რუსეთის სესხის წინააღმდეგ მოქმედებენ.

✦ **ქალთა უმაღლესი კურსები.** ხარკოვის „მშრომელ ქალთა საზოგადოებას“ ნება მისცეს გახსნას ხარკოვში უმაღლესი კურსები მათემატიკურ, ისტორიულ, საბუნებისმეტყველო და იურიდიულ ფაკულტეტებით.

დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 აპრილი.

ᲡᲝᲡᲜᲝᲕᲘᲪᲘ. ფიცნერის და გამპერის ქვაბების ქარხანაში დასჭრეს მუცელში და ხელში ინექენერი კურეინა. კურეინა ნარეოდოვეცია და მუშებს ურჩევდა პირველ მაისს ნუ იუქმებთო,

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. სოფ. დიმბროვკაში მოჰკლეს პოლიციელის თანხლებით მიმავალი საიდუმლო პოლიციის ზედამხედველი ჩაიკა. შემოხვევით მიმავალი ვიღაც დაიჭრა. მკვლელნი მიიმალნენ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. «რუსის ხალხის კავშირის» კრება გაიხსნა 27 აპრილს. პირველად მეფესთან გასაგზავნი უქვეშევრდომილესი დეპეშა წაიკითხეს.

ᲡᲝᲡᲜᲝᲕᲘᲪᲘ. სოფ. კონსტანტინოვკაში სოსნოვიცის ახლო სამი კაცი თავ დაესხა საერთოდ დარაჯს და მოკლა მოუნდომა. დარაჯმა ერთი თავდამსხმელთაგანი მოჰკლა, მეორე დაჭრა, მესამე კი გაიქცა.

ᲙᲐᲢᲐᲜᲘᲐ. 27 აპრილს ვულკან ეტნამ ამოხეთქა, რომელსაც მიწის ძვრაც თან მოჰყვა. ზარალი არა მოუტანია რა, სალხი დამშვიდებულია. დილის 4.ს საათზე ნიკოლოზშიაც იძრა მიწა.

ᲡᲐᲛᲐᲠᲣᲜᲓᲘ. 27 აპრილს 6 შეიარაღებული კაცი შეეკარდა რკინის გზის საქონლის კანტორაში. მოიტაცეს 23,000 მანეთი და მიიმალნენ. ერთი თავდამსხმელთაგანი მერე მოჰკლეს.

ᲘᲠᲙᲣᲪᲚᲘ. ნოვო-ნიკოლაევსკის ამრანაგების რწმუნებულმა პოლიციას განუცხადა, რომ ორი უცნობი სახლში მომიხტა და 10,870 მანეთი წამართვაო.

ᲪᲮᲔᲒᲐᲜᲠᲝᲒᲘ. 27 აპრილს სადამოზე როცა აზოვსკო-დონის ბანკის მეარტელე ეტლით ნავთსადგურისაკენ მიდიოდა, 6 შეიარაღებული კაცი დაეცა. წაართვეს 30,000 მანეთი და მიიმალნენ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ლოძის ოლქში პოლონურ სასკოლო მატიცამ 15,000 მანეთი მოაგროვა.

ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ. 28 აპრილს ესბიერიდან ინგლისში გაემგზავრა კიდევ 30 რუსი ს.-დემოკრატი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. რუსი ს.-დემოკრატების კრეას აქ იდუმალ სათათბიროს ემახიან. 27 აპრილს მათ გამართეს პირველი სხდომა კაინგტონჰაუსში, ლონდონის საგრაფო დეპტფორდის საბჭოს შენობაში მომავალ კვირაში მუდამ დღე იქნება საზოგადო სხდომები.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 27 აპრილს სადამოთი ალექსანდროვსკის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა რევოლვერით მოჰკლა პოლიციელი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. საერო განათლების მინისტრმა ნება დართო ორ-კლასიან სასწავლებლებში გამოცდის დროს მიუშვან ისეთებიც, რომელნიც კერძო მომზადებულან (ექსტერნები) ვინც რიგიანად მომზადებული ადმოჩნდება სხვასთან ერთად სამხედრო სამსახურის დროისთვის შედავათიან მოწმობას მიიღებენ.

ᲙᲐᲢᲐᲜᲘᲐ. აქაურ ობსერვატორიას შეატყობინეს: 27 აპრილს დილის 7 საათსა 40 წუთზე ტრიმბოლში ვულკანმა ძლიერ ამოხეთქა. მდუდარე ლავა ადმოსავლეთისკენ ვენახებს მოედო და ბევრგან ცეცხლიც გააჩინა. მიწიდანაც საშინელი ხმაურობა ისმოდა ხალხი ძლიერ შეშინდა. ეტანა აუარებელ ფერფლს და კვამლს ისვრის.

ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘ. ბახრეინში შავი ჭირი ძლიერდება. მეხოვრებლები ბუშირში გარბიან, სადაც შავი ჭირით ავათმყოფობის 4 შემთხვევა უკვე იყო.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. როჟდენსტვენსკის ბულვარში თურასოვის სახლში ადმოაჩინეს ს.-დემოკრატების დიდი სტამბა. მალო-ხარიტონოვსკის ვიწრო ქუჩაზე ადმოაჩინეს ამ სტამბაში დაბეჭდილ წიგნების საწყობი. იპოვრეს 1 /2 მილიონი პროკლამაცია საპირველ მაისოდ გამზადებული. დააპატიმრეს 2 კაცი და 5 ქალი სტამბა მთავსებული იყო დამზადებულ საჭმელების დუქანში, რომელიც ვიღაც მაისურაძის სახელზე იყო გახსნილი. სტამბა რიგიანად მოწყობილი ადმოჩნდა. ჩარხი დიდია. იპოვნეს 40 ფუთი შრიფტი, ბევრი ქადალდი. დუქნის სარდაფში იპოვნეს მომპოლა, 120 პატრონა, 8 ფუთი ქადალდი და 4 ფუთი პროკლამაცია.

ᲡᲢᲐᲕᲠᲝᲞᲝᲚᲘ. ხმები გავრცელდა, რომ პირველ მაისს არეულობა უნდა მოხდესო. მთავარმართებელმა ბრძანება გამოსცა, მიიღონ უკიდურესი ზომები მშვიდობიანობის დასაცველად. მცხოვრებთ იწვევენ დამშვიდნენ და უკლებლად შეასრულონ ადმინისტრაციის მოთხოვნილება.

ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲝᲛᲐ 8 შეიარაღებული კაცი კინგშმანი მიმავალ აქციზნი მოხელეებს პოგრომვსკის და სუხენკოს თავს დაესხა. წაართვეს 2000 მანეთი საარყე დუქნებიდან აკრეფილი. სუხენკომ ერთი მძარცავთაგანი დაჭრა, მაგრამ სხვებმა დაჭრილი თან წაიყვანეს და ფულებიანად მიიმალნენ.

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲝᲡᲚᲐᲕᲘ. გუბერნატორმა პროფესიონალური კავშირის საზოგადოება გააფრთხილა: თუ 1 მაისს გაიფიცენით კავშირი დახურული იქნებაო. ყოველგვარი დემონსტრაცია და საერთო გაფიცვა აკრძალულია.

30 აპრილი

ᲡᲝᲤᲘᲐ. ბოლგარიაში იდდესასწაულებენ პირველ ნათელდებულ, მეფე ბორისის სიკვდილის 1000 წლის თავს. ხილმი-ვაშამ მაკედონიის ბოლგარელ ეკკლესიებსა და სკოლებში ეს დღესასწაული აღკრძალა, რადგან წმინდანთა ოფიციალურ სიაში ბორის მეფე არ არის მოხსენებული.

28 აპრილს ბლევნაში გათავდა დემოკრატიულ პარტიათა კონგრესი. კონგრესმა ის აზრი გამოთქვა, რომ დაწესდეს კოალიცია სხვა ოპოზიციონურ პარტიებთან.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ დეპუტატთა პალატაში ეორესმა სთქვა, რომ შრომის კონფერენცია სცდილობს მუშები გააერთიანოსო. სოციალურ პროპაგანდისაგან შორს არისო. სამშობლოს რომ განსაცდელი მოეკვლინოს, პროლეტარიატი ურიცხვ ძალას წამოაყენებს და მტერს ნებას არ მისცემს მახვილი დასცეს საფრანგეთს. მთავრობის ახლანდელი პოლიტიკა უნდა შეიცვალოს, თორემ სოციალისტები ბრიანი და ვალიანი კაბინეტს თავს დაანებებენო.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. 29 აპრილს დილით ჩამოვიდა სახ. სათათბიროს თავმჯდომარე გოლოვინი.

ᲛᲐᲘᲜᲘᲡ ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘ. «ფრანკფურტის ცეიტუნგი» არჩევს პოლონეთის კოლოს კანონ-პროექტს ავტონომიის შესახებ და შენიშნავს, რომ მარშან კადეტებიც მხარს უჭერდენ პროექტს, წრეულს კი გულ-გრილად მიეგებენო. გაზეთის აზრით, ამისი მიზეზი რუსების ნაციონალურ გრძნობის გამოცოცხლება, რაც გამოიწვია პოლონეთსა და კავკასიაში რევოლიუციონურმა მოძრაობამ და ფინლიანდიის სეპარატიულმა მისწრაფებამაო.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. პირველ ოვის სახელოების კრებაზე გადასწყვიტეს, ექიმთა კავშირს მისცენ საზოგადო პროფესიონალური ხასიათი, შეადგინონ ფაბრიკების ექიმთა საგანგებო კავშირი და ერთი წლის შემდეგ მოახდინონ მათი კრება. მუშათა დაზღვევის შესახებ მოხსენება კომისიას გარდასცეს რეზოლიუციის შესადგენად. კრებამ პრინციპიალურად საჭიროდ სცნო დაზღვევა.

რედაქტორ-გამომცემელი
ᲘᲕ. Ი. ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

განცხადებანი

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1907 წლის 29 მაისს, შუადღის 12 საათისთვის, გამგეობის თანადასწრებით, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემოდ დასახელებულ პირთა მამულებისა სახელმწიფო და საერობო გადასახადების ნედოიმკების შესავსებად:

1. თურქია ლაზარე დავითის ძე: დაგეგმილი ნაჭერი მიწისა, მდებარე ქალ. ფოთის მე-13 კვარტალში, № 115, ზომით 992 8 ოთხ-კუთხი საჟ. ნედოიმკის რაოდენობა 30 მან. 41 კ.

2. ბერნატოვიჩი მათე ეფრემის ძე: დაგეგმილი ნაჭერი მიწისა, მდებარე ქალ. ფოთის 21 კვარ., № 203, ზავოდსკის ქუჩ., ზომით 200 ოთხკუთხი საჟ. ნედოიმკის რაოდენობა 3 მან. 23 კ.

3. ხრელიჩი კაზიმირ ოსიპის ძე: დაგეგმილი ნაჭერი მიწისა, მდებარე ქალ. ფოთის მე 69 კვარ., № 678, ციცანოვის ქუჩაზე, ზომით 420 ოთხ-კუთხი საჟ. ნედოიმკა 2 მ. 78 კ.

4. ანდრია დუბინინის მემკვიდრენი: დაგეგმილი ნაჭერი მიწისა, მდებარე ფოთის მე-14 კვ., № 124, როზენის ქ., ზომით 652,5 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 2 მ. 54 კ.

5. დიმიტრი სმირნოვის მემკვიდრენი: ცარიელი ნაჭერი მიწისა, №№ 113 და 114, მორსკოის ქ. და ლევაშოვის სანაპიროზე, ზომით 520 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 45 მ. 69 კ.

6 ბარბარე ერისთავისა: ნაჭერი მიწისა, № 143, ლაზარევის ქ., ზომით 400 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 7 მ. 34.

7. ბოჭორიშვილი ანტონ: ცარიელი ნაჭერი მიწისა, № 700, ბებუთოვის და კოლხიდის ქუჩების კუთხეში. ზომით 390 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 1 მ. 52 კ.

8. აბრამ და ისაკ მიხაილიშვილის მემკვიდრენი: ცარიელი ნაჭერი მიწისა, № 805, მდებარე ფოთის მე-81 კვ. მილიუტინის ქ. ზომით 510 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 10 მ. 6 კ.

9. დადიანი მიხეილ მელიტონის ძე: ცარიელი ნაჭერი მიწისა, მდებარე ფოთის მე-82 კვ., № 807, როზენის ქ. ზომით 450 ოთხკ. ს. ნედოიმკა 7 მ. 86 კ.

10. მურუსიძე პეტრე და ფოფხაძე: მიწის ნაჭერი №№ 703 და 704, მდებარე ფოთის მე 61 კვ. მილიუტინის ქ. ზომით 348 ოთხკ. ს. ნედოიმკა 71 კ.

11. ივანია დიმიტრი: ცარიელი მიწის ნაჭერი, კერჩენსკის და პოტიომკინსკის ქუჩების კუთხეში, № 609, ქ. ფოთის დიდ კუნძულზე, ზომით 200 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 72 კ.

12. ჩილიაევისა მარიამ მიხეილის ასული: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 1114, დიდ კუნძულის პეტროვსკის სანაპიროზე, ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 1 მ. 55 კ.

13. შაბუროვი სოლომონი: ცარიელი ადგილი, № 582, მდებარე დიდ კუნძულზე, კარჩენსკის და სინოვინსკის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 2 მ. 63 კ.

14. შილკინისა ეფროსინე ივანეს ასული: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 885, მდებარე დიდ კუნძულზე, ნახიმოვის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 2 მ. 27 კ.

15. ზურაბ გაბუნიას მემკვიდრენი: ნახევარ ცარიელ მიწის ნაჭრისა, № 465, მდებარე დიდ კუნძულზე, კაზარსკის და იალტის ქუჩების კუთხეში, ზომით 200 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 2 მ. 23 კ.

16. ემანუილ თეოდორე, დღეს ელიმპიადა ემანუელისა: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 993, მდებარე დიდ კუნძულის სევასტოპოლის ბულვარზე, ზომით 200 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 22 მ. 20 კ.

17. ალექსანდრე ანდრეევის მემკვიდრენი: ცარიელი მიწის ნაჭერი. № 889, მდებარე დიდ კუნძულზე, ნახიმოვის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 1 მ. 14 კ.

18. იანოვსკისა გენრიეტტა: ცარიელი ნაჭერი მიწისა, № 32, მდებარე დიდ კუნძულზე, მიხეილის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 8 მ. 47 კ.

19. ხანდილი სტავრო, ცარიელი მიმიწის ნაჭერი, № 40, მდებარე დიდ კუნძულზე, ნიკოლაევის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 4 მ. 43 კ.

20. გალდამაშუკი თეოდორე: ცარიელ მიწის ნაჭერი, № 888, მდებარე დიდ კუნძულზე, ნახიმოვის ქ., ზომით 186 ოთხკ. ს. ნედოიმკა 80 კ.

21. ოლობერიძე ნიკოლოზ ბესარიონის ძე: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 70, მდებარე დიდ კუნძულზე, ნახიმოვსკის და ხერსონის ქუჩების კუთხეში, ზომით 200 ოთხკ. ს ნედოიმკა 13 მ. 34 კ.

22. დიუდიჩი ვილჰელმ პეტრეს ძე: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 776, მდებარე დიდ კუნძულზე, კაზარსკის ქუჩაზე, ზომით 200 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 4 მან. 21 კაპ.

23. იმნაძისა ეფროსინე ალექსის ასული: მიწის ნაჭერი, № 855, ძველ ხის სახლით, მდებარე დიდ კუნძულზე ბერდიანსკის ქუჩაზე, ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 64 კაპ.

24. კიზირია გოგია, ცარიელი მიწის ნაჭერი, № 487, მდებარე დიდ კუნძულზე, ისტ-ომლინის ქუჩაზე, ზომით 200 ოთხკ. საჟ ნედოიმკა 6 მ. 73 კ.

25. კინწურეიშვილი თეოფანე: მიწის ნაჭერი, № 611, ხის ფლიგელით რკინით გადახურული, დიდ კუნძულზე, კერჩენსკის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. 2 მ. 44 კ.

26. ლიუბინსკი ვასილ: ცარიელი ნაჭერი მიწისა, № 641, მდებარე დიდ კუნძულზე, ნარიმოვის ქ., ზომით 200 ოთხკ საჟ. ნედოიმკა 1 მ. 08 კ.

27. ხუხიაშვილი გიორგი: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 597, მდებარე დიდ კუნძულზე, ლეფორტოვის და კარჩენსკის ქუჩების კუთხეში, ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 3 მ. 63 კ.

28. მელიქ-აგამონოვისა ელენე: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 642, მდებარე დიდ კუნძულზე, ტავანროგის და კარნილოვის ქუჩების კუთხეში, ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 6 მ. 11 კ.

29. ნაკაშიძისა სოფიო: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 75, მდებარე დიდ კუნძულზე, ხერსონის ქ., ზომით 200 ოთხკ. საჟ ნედოიმკა 3 მ. 54 კ.

30. ხოშტარიასი პელაგია პეტრეს ასული: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 236, ლიალინის ქ., ზომით დაახლოვებით 130 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 23 მან. 23 კ.

31. მიხაილაშვილი არონ აბრამის ძე: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 249, მდებარე მე-24 კვ., ივანოვის ქ., ზომით დაახლოვებით 260 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 56 მან. 32 კ.

32. ეფრემაშვილი დავით ისაკის ძე: მიწის ნაჭერი, № 19, ერთის ქვითკირის დუქნით, მდებარე მე-III კვ., გრეჩესკ ს ქ. ზომით 20 ოთხკ ს. ნედოიმკა 30 მ. 15 კ.

33. ჯანჯღავასი ეფროსინე შავარდენის ასული: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 253, მდებარე მე-XXIV კვ., ლაზარევიჩის და ივანოვის ქუჩების კუთხეში, ზომით 260 ოთხკ. ს. ნედოიმკა 15 მან. 86 კ.

34. გასან-ჯალალოვი ივანე გრიგორის ძე: მიწის ნაჭერი, № 238 ორი ხის სახლით, მდებარე მე-23 კვ. ლაზარევიჩისა და ივანოვსკის ქუჩების კუთხეში, ზომით 130 ოთხკ. ს. ნედოიმკა 87 მ. 63 კ.

35. კვინიხიძე ბესარიონ მათეს ძე: მიწის ნაჭერი, № 44 ერთი ქვითკირის დუქნით, მდებარე მე-4 კვ., მიხეილის ქუჩ., ზომით 30 ოთხკ. ს. ნედოიმკა 36 მ. 33 კ.

36. ნასხლეტაშვილი აბრაამ, მიწის ნაჭერი, № 45 ერთი ქვითკირის დუქნით, მდებარე მე-4 კვ., მიხეილის ქ., ზომით 40 ოთხკ. საჟ ნედოიმკა 26 მ. 03 კ.

37. ჩილინგირი იანი: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 277, მდებარე მე-25 კვ., მინგრელსკის და ლაზარევიჩის ქუჩების კუთხეში, ზომით 40 ოთხკ. ს. ნედოიმკა 1 მ. 41 კ.

38. ტორონჯაძე პავლე იაკობის-ძე: მიწის ნაჭერის ნაწილი, № 763, ერთი ხის საშზარეულოთი, მდებარე მე-35 კვ., მინგრელსკის ქ., ზომით 130 ოთხკ. ს. ნედოიმკა 5 მ. 51 კ.

39. მიხაილაშვილი არონ აბრამის-ძე: მიწის ნაჭერი, № 45, ოთხი ქვითკირის დუქნით და ერთი ფურნეთი, მდებარე მე-4 კვ. მიხეილის და ივანოვსკის ქუჩების კუთხეში, ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 204 მ. 86 კ.

და 40. გვასალია დუტუ ნიკოლოზის-ძე: ნახევარი მიწის ნაჭერისა, № 451, მდებარე მე-XXXV კვ., სვანეთის ქ., ზომით 130 ოთხკ. ს. ნედოიმკა 2 მ. 94 კ.

(3—ნ.—2)

1—2 მ.ნ. აიღებს მსურველი დღეში.

საჭიროა

თანამშრომელნი ორისა-ვე სქესისა

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფულ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვეიღებთ. ბირობებს ეფასოდ უგზავნით.

პირველი კავკასს. ამხანაგობა

მსწრაფლ მქ ოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ, д. 15, и 5. (100—71—1)

გამოვიდა და იყიდება წიგნის მაღაზიებში

„ბნელეთის ევოლიუცია თანგ-ეშმაკთ რევოლიუცია“.

Ი. აკობიასი. ფასი 5 კაპ. (6—ნ —4)

ФОРМАНЪ

ᲤᲝᲠᲛᲐᲜᲘ

ᲡᲣᲠᲓᲝᲡ

ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ᲙᲝᲚᲝᲤᲘ 25 ᲙᲐᲞ

იყიდება ყველა აფთიაქში და საფთიაქო მაღაზიაში

(Метцль 22093). (6—№ 9.—4)